2-801

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№ 04/977-10 "16" 04 2010 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრს

„ინტერნეტ პროვაიდერების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის განმარტების შესახებ"
(პასუხი 2009 წლის 29 დეკემბრის თქვენს წერილზე)

პროვაიდერის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის შეფასების სისტემები სტანდარტიზებული არ არის. ინტერნეტის ხარისხი დამოკიდებულია ისეთ პარამეტრებზე როგორიცაა:

1. პროვაიდერის ქსელური ინფრასტრუქტურა და მისი გამტარუნარიანობა;
2. მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსების სერვერის წარმადობა კონკრეტული მომენტისათვის;
3. მომხმარებლის კომპიუტერული სისტემის გამართულობა;

ამ პარამეტრებიდან მე-2 და მე-3 პარამეტრი არ არის დამოკიდებული პროვაიდერზე.

ინტერნეტში შეიძლება მოძიებულ იქნას ამ მიზნით შექმნილი უამრავი პროგრამა მაგ.:

Zoom Fastlane Qos (http://www.zoom.com)
ByteOmeter (http://byteometer.com)

არცერთი ასეთი პროგრამული სისტემა არ არის სერტიფიცირებული საქართველოში ინტერნეტის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტად.

მიზანშეწონილია მომხმარებელმა მოსთხოვოს პროვაიდერს ისეთი პროგრამული პაკეტის მიწოდება, რომლის საშუალებითაც ჩატარებული გაზომვები სანდო იქნება, როგორც პროვაიდერისთვის, ასევე მომხმარებლისთვის. ასეთი სისტემის მიერ დაფიქსირებული მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას პროვაიდერის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის თაობაზე საჩივრის საფუძვლად.

კომისიის თავმჯდომარე

ი. ჩიქოვანი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18;
ტელ.: +995 32 921667, ფაქსი: +995 32 921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge